№ 59. 16 მარტი, პარასკევი. 1866—1884 16 მარტი, პარასკევი. № 59

«დროების» რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაჭარავის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10-თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა შაბ.; განცხადება მიიღება ქართულსა, რუსულსა და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

12 მარტს, ქანაში გარდაიცვალა კენინა ბარბარე ილიას ასული ორბელიანისა. ძმისწულები მისნი, აუწყებენ რა ამ მწუხარე ამბავს, უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობძანდენ განსვენებულის მოსახსენებლად ლიტურგიაზედ და პანაშვიდზედ პარასკევს, 16 მარტს, დილის 10 საათზე, ანჩისხატის სობოროში.

(2—2)

დიმიტრი სვიმონის ძე სტაროსელსკის დასაფლავება.

გუშინ დილის რვა საათიდამე მთელს თბილისს განსაკუთრებითი მოძრაობა ეტყობოდა. ყველანი ემზადებოდენ უკანასკნელად მიეცათ პატივი იმ კაცისათვის, რომლის უდროო და უეცარმა სიკვდილმაც ყველას მწუხარების ცრემლი დაასვა. თითქმის ყოველმა დაწესებულებამ უძღვნა ამ ნეტარად სახსენებელს კაცს გვირგვინი ნიშნად ღრმა პატივისცემისა. 10 საათზედ დაიგრიალა საგლოვიარო მუსიკამ და პროცესიაც დაიძრა განსვენებულის სადგურიდამ გრიბოედოვის ქუჩაზე. წინ მიჰქონდათ ორდენები განსვენებულისა, მასუკან ამქრების წარმომადგენელნი გლოვის ნიშნად შეხვეულ ბაირაღებით მიდიოდენ. მათ მოსდევდა ოცდა-ათამდე გვირგვინი თითქმის ყველა ადმინისტრატიულ დაწესებულებათაგან, სასამართლოებისაგან, სავაჭრო და საქალაქო გიმნაზიებისაგან, საოსტატო სემინარიისაგან, რეალურ სასწავლებლისაგან, საქალაქო ინსტიტუტისა, თავად-აზნაურისა, ბაქოს ქალაქის საზოგადოებისა და ზოგიერთა კერძო პირთაგან. ამ გვირგვინებს შორის იდგნენ ორი პატარა ღარიბად ჩაცმული ბავშვი, რომელთაც ხელში ეჭირათ პატარა გვირგვინი ზედწარწერით: «წინამძღვრიანთ-კარის სამეფონო სკოლა თავის მფარველს». რეალურ სასწავლებლის გვირგვინზედ ეწერა: «ძაცსა მშრომელს, პატიოსანს, მართალს და გულ-ბოწყალეს». კერძო პირთა გვირგვინებ შორის იყო ერთი «ოლგასა და ილიასაგან». მოწინავე გვირგვინებში განსაკუთრებით განირჩეოდა ძვირფასი გვირგვინი ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოებისაგან ებრაულის წარწერით: «სიმართლე შენი წინა გიძღოდეს შენ».

ერთს საათზედ მეტი მოანდომეს გზას სემინარიის ეკლესიამდე. მთელი ბოლოვინის პროსპექტი ხალხით იყო სავსე, პროცესია ძლივს იძროდა. მკლესიაში, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ, თვალცრემლიანმა ექსარხოსმა წარმოსთქვა გამოსალმების სიტყვა. მასუკან, როდესაც კუბო ერევნის მოედანზედ გამოასვენეს, წამოდგა წინ თ. აკ. წერეთელი და ქართულად შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

«ბვირთა საანეს», საუკუნოების განმავლობაში ჩვენის წინაპრების წმინდა მოწამურ სისხლით შეღებულს და თავ-განწირულ მამა-პაპათა ძვლებით გაპოხიერებულ საქართველოს მიწას, დღეს ჩვენ გულ-მტკივნეულად ვაბარებთ განსვენებულის დიმიტრი სვიმონის-ძის სტაროსელსკის გვამს და თვალ-ცრემლიანნი ვამბობთ: «საუკუნოდ იყოს ხსენება მისიო!» და ვამბობთ განა მარტო ჩვენ აქა-მყოფნი,—არა, ამასვე განიმეორებს გულ-მტკივნეულად შავის ზღვიდამ დაწყებული ქასპიის ზღვამდე, გულ-წრფელი, ჭეშმარიტების მეძიებელი ქართველობა.

შესანიშნავი ეს არის, რომ ენით სხვას და გვარ-ტომობით გარეშეს, ჩვენ ვიგლოვთ, როგორც საკუთარს ძმასა და თვისსა. რა არის მიზეზი ამ იშვიათი მოვლენისა? ის, რომ განსვენებული დიმიტრი სვიმონის-ძე პირ-

«დროების» ფელეტონი, 16 მარტი.

ხმა პროვინციიდამ

(კუძღვნი ბაბა-ხანს)

I

ამას წინად და ეხლა.—გულით მადლობა ზეკუციას.—რა ფიქრში მოსასვლელია?—უსაფუძვლო სამდურავი.—ბოროტი ენები. ნამდვილი «პრიგოვორი» «ბურსაკების» ბრალია.—ზეკუციისტი.—მოდი, ძილო და მოსვენებავ!—სიზმარი და სიზმარში გიჟი.

ტკბილი გსთქვა, ჩემი თქმული
შეიენების რა საბარგი?
მართალი გსთქვა, მეშინიან,
ვა, თუ გაგხდე დასაკარგი!
გურამიშვილი.

....ძლიეს არ გვეშველა, თქვენი ჭირიმეთ! ძილი აღარ იყო და მოსვენება! აღარა შეგვანარჩუნეს-რა ამდენმა მთისა და ბარის ავაზაკებმა: ქათამი, ინდოური, ღორი, თხა, ცხვარი, ბატი—სულ იმსხვერპლა ამათმა შეუბრალებელმა ბოროტებამ! ტყემალი რა არის, ტყემალი!? ისინი აღარ შეანარჩუნეს ხეზედ, რომ ტყლაპი გაგვეკეთებინა. ნიორი?!. ხსენება აღარ იყო, ხსენება!! რამდენი ხანია, ხაში და არტალა ველარა ვჭამეთ უნიერობის გამო. ბამოხვიდოდი დილით ადრიან შენს ნაამაგდარ ბაღჩაში და თავზარი დაგეცემოდა, ნიერის სუნს რომ ველარ იგრძნობდი! არიქა, მამასახლისი! სუდია! „პრიგოვორ“! «პროტოკოლ»! «რაპორტ»! მაგრამ, არ მომიკვდეთ, თქვენ ველარა გეპოვნათ-რა...

×

.... ეხლა სულ სხვაა, გძინავთ მოსვენებით და აღარა გაწუხებთ-რა! მე ვიცი, არა მოგვპარონ-რა! სანაძლეოზედ, მთხოვარი რომ მოგადგეს სახლში და დაუყვირა: ზეკუცია!... თავის ცარიელ გუდასაც აქ დააგდებს და ისე გაიქცევა. ესე შეიშინა იქაურობ: საქმე შიში ყოფილა, შიში! ხომ იცით, შიში შეიქმს სიყვარულსაო... სიყვარულს კი არა, ყველაფერს! საცა ქურდებად დანათლულ ოსებს ხელი ააღებინა ზეკუციის შიშმა ქურდობაზე და საბძლების დაწვაზე, სხვას რას არ ჩაადენინებს კაცსა?! დიდება და მადლობა ზეკუციას, რომ ამ დღეს მოვესწარით! ეს დღე სახსოვარი დღეა ჩვენთვის! მე რომ ზაქარია ჭიჭინაძესი ვიყო, კალენდარში დაენიშნავ ამ დღეს, რომ ჩვენმა შვილის-შვილებმაც კი იდღესასწაულონ ხოლმე.

×

.... ზეკუციამ რომ ასე მოსპო ამდენი ბოროტება და ჩამოაგდო ჩვენში კეთილ-დღეობა,—იცით, რა მოგმივიდა ფიქრში? რატომ ეს დიდრონი ქალაქებიც არ მიმართვენ მეთქი ამ საშუალებას? დგ., თბილისი, მოსკოვი, პეტერბურგი, პარიჟი, ლონდონი? იმისთანა ავაზაკობა, ქურდობა, კაცის-კვლა, ბანკების და ვაჭრების კოტრობა, ქარხნებისა და ქარვასლების გადაწვა, ცარცვა, გლეჯვა საზოგადოდ ყოველნაირი ბოროტება, რაც ამ ქალაქებში ჰხდება, უთუ არ მოითხოვს ზეკუციას?! მოითხოვს, მაგრამ... მაგრამ ყველაფერი კანონზედ და სამართალზედ მიუგდოთ და არიან ამ უბედურებაში! აკი არა ჰყავთ, რომ ზეკუცია მოუხიროს როგორმე თბილისში რომ ზეკუცია ყოფილიყო, რამდენი დუქანი გადარჩებოდა გადწვას, გაკოტრებას? ხმებია, რომ ეხლაც აპირობენ ზოგიერთები გკოტრებასაო... თუ ზეკუციამ მიუწრა, მაშინ ენახავ მაგათ გაკოტრებას...

×

.... ძიდეი ეიტყვი: ბევრ ნარად გეშველა ზეკუციამ, ბევრნაირი სასახური გუწია... მაგრამ არიან კიდევ იმისთანა პირნი, რომელნიც ალტაკვ ბოროტ ზეკუციის გამოფილოდაც არიან, რას იზამთ! ასეთია ადამიანის ბუნება, რომ ყელამდინ ბედნიერებაში ჩაგდო, მაინც კიდევ ჰსჩივის, წუწუნებს და არის მოუსვენრობაში... ჩვენი გაუმაძღარი ქედანა გლეხი რაღა გავამტყუნოთ, რომ უკმაყოფილოდ იყოს; დანახვა არაფრისა აქვს და მადლობის გრძნობა ხომ იმისთვის ღმერთს არ მიუნიჭებია. ზეკუციამ არამცთუ ქურდობა მოსპო, კიდეც უნაზღაურა ყველას თავისი დანაკარგი. წინად რა მოგახსენოთ, დ დიდ ხორეოლობის აქეთ კი ვისაც რა დაუკარგავს,—ინაზღაურა კიდეც. ერთი ხუთად, ერთი ათად, ბერმა ერთი ოცად... ბილას რა საჩიარი მართებს!...

×

.... თუმცა ბოროტი ენები ლაპარაკობენ, რომ... მაგრამ ჩვენ ხომ ყურს არ ვუთხოვებთ იმათ ლაპარაკს, ბოროტი ენა რას არ იტყვის? ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ვითომ ეს გადასახადი იმისთანა პირებს დააწვა, რომ იმათი ქურდობა ძლიერ საეჭვოდა სჩანდაო... რომ ზეკუციის უფროსი თავის საკუთარ საქმეებში მეტის-მეტად მუყაითად იქცეოდაო: თავისი ღვედი, ყურძენი და ღორები იმ ნაირად ინაზღაურა ძლიერ საეჭვო პირებისაგან, რომ არა კანონი და სამართალი არ შეიწყნარებსო, თუ იქამდი მიახწია როგორმეო... არ შეიძლება, რომ კაცი თავის საქმეში მსაჯულიც იყოს და მოჩივარიცაო... რომ ზეკუციის მიკიტანმაც ძლიერ უსვინიდისოდ მოითხო ხელები იმავე უფროსის წყალობითაო, და იმიტომაც გაჩნდა ამდენი დავი-დარაბა და საჩივრებიო. სრულებითაც არა, ბოროტო ენებო! უკანონო გარდახდევინება არა ყოფილა-რა. მართალია, ზეკუციის უფროსმა და ბევრმა სხვა პირებმაც ინაზღაურეს თავიანთი დანაყოფლობით, ბოროტებით ქურდობა; თუმცა ამ «ნებაყოფლობით» მორიგებაში, ერთი მხრით იყო ზეკუცია — და მეორეს მხრით,—მართო შეშინებული «ქურდი», მაგრამ მაინც მორიგება—მორიგებაა...

×

....იმასაც ამბობენ, რომ ვითომ ოც-და-ხუთ ნასოფლარის საზოგადოებას პრიგოვორი შეედგინოს, რომ თუმცა ეს ბატონი ზეკუცია ისე შეგვერგო, როგორც დედის ძუძუ, მაგრამ მაინც და მაინც ვთხოვთ, ღმერთი ჯალაბობას გიცოცხლებთ, ისეთ ალაგს გადაასახლოთ, რომ წავიდეს და აღარ მოვიდესო! ზედაც დაემატებინათ, რომ ზიარება გაგვიწყრეს, თუ, ამდენ პრიგოვორში, ამაზე ნამდვილი ჩვენ შეგვედგინოს სადმეო. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ნამდვილი პრიგოვორი არსად შეიწყნარება: ზეკუცია,—დროებით ვალდებული კი არ არის,—ხიზანია და ხიზნების საქმე ხომ, როგორც მკითხველმაც იცის, ჯერ არ გადაწყვეტილა...

×

...აკი მოგახსენეთ, რომ ასე უსამართლოდ და უკანონოდ სჩივიან-მეთქი! ნეტავი კი მაგისთანა საჩივრებმა ჩემს ყურამდინ არ მოაღწიონ ხოლმე,—სულ სისხლს მიფუჭებენ! მაგრამ სად გაექცევი?! ბამოვარდება ერთი ვინმე ბურსაკი და მოგიყვება ასე... ისეო... წაგიხდება სისხლი მარა! არა გვანან ტერ... შვილებს! მაგ მამა-ცხონებულებს, კორკოტით კუჭი ვერ გაუძღვიათ და ყველაზედ კი ლაპარაკობენ! ბაუმჯობესეთ ხალხის ეკონომიური მდგომარეობაო, გაანათლეთ ზნეობით და ჭკუითაო, მიეცით შეღავათიო, თორემ ზეკუცია ქურდობას ვერ მოსპობსო! დიახ! ვერ

და-პირ ადგა ნეტარ-ხსენებული მარანცოვის გაკვალულ გზასა და არც ერთხელ წვრილმან პირადობასა და კერძოობას ისე არ აუჩქარებია, რომ გადაეხვევინებინოს.

კაცი, თავის თავზედ ხელ აღებული, რომელსაც დაუვიწყნია თავისი სასიქადულო წარსული, გული გასტეხია მომავალზედ და გულ-გრილად ითმენს თავის აწმყოს დაჩაგვრას,—ცოცხლადვე მკვდარია. ის ვეღარავისთან გასწევს ულელს და არც გამოსადეგია სამშო-სამეგობროდ. მარტო მხოლოდ ის არის, სანდო-საიმედო, ვისაც თავი უყვარს და სასიქადულო და სამაგალითო წარსულის მოგონებით მიელტვის მომავალს და მით აწმყოში თავს იზრდის ასამაღლებლად. ეს მარტივი ჭეშმარიტება კეთილად ჰქონდა შეგნებული განსვენებულ დიმიტრი სვიმონის-ძეს; პატივის-ცემით აფასებდა ჩვენს წარსულს, მამობრივის იმედით უყურებდა მომავალს და ძმურად ხელს უწყობდა ჩვენს აწმყოს...

მხოლოდ მამობრივი ზრუნვა და სამართლიანი ძმური განწყობილება—ამტკიცებს იმ კავშირს, რომელიც აერთებს ორს სხვა-და-სხვა მხარეს! განსვენებული იცნობდა ქართველობას და სინიდისიანად ჰქონდა შესწავლილი ჩვენი მხარე და ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ სამართლიანი და წმინდა ყოფილიყო ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა...

ამას ვერ დაივიწყებს ვერაოდეს ქართველობა და გულწრფელად იტყვის: «წმიდათა თანა განუსვენოს საუკეთესო მამულის-შვილს და საუკუნოდ იყოს ხსენება დიმიტრი სვიმონის-ძის სტაროსელსკისა»?

ამ სიტყვის შემდეგ პროცესია იმავე წესით გაემგზავრა ვერისაკენ, სადაც განსვენებულს სამხედრო პატივი მისცეს და საგურამოსკენ წაასვენეს დასასაფლავებლად.

საუკუნოდ იყოს ხსენება ამ ჩინებულის კაცისა!—ვიტყვით ჩვენ წმინდის გულით.

შინაური ქრონიკა

~~~ მაწანწალა, კარ-და-კარ მოსიარულე ვაჭრები მეტის-მეტად ფეჩქნიან ჩვენ უბრალო ხალხს და უფრო მაშინ ესტუმრებიან ხოლმე სოფლებს, როცა მამაკაცები შინ არ არიან და დედა-კაცების მოტყუება ადვილად შესაძლებელია. შესანიშნავი ეს არის, რომ ეს მაწანწალები ნაღდ ფულზედ მცირედა ვაჭრობენ და არც ხელს მისცემთ. ისინი რჩეობენ უბრალო, ორიოდ გროშის საქონელში რამდენიმე აბაზისა და მანეთის პური, ქერი, კვერცხი და სხვ. სოფლის ნაწარმოები აიღონ. სიღნაღის მაზრიდამ გვწერენ, რომ მაწანწალა ვაჭრები, მეტადრე ამ ბოლოს დროს, ძალიან წათამამებულან და გამოუცდელი სოფლელების მოტყუებისათვის უფრო მიუყვიათ ხელი.

~~~ «ს.-პეტერბურგის უწყებების» სიტყვით, ქვა-ნახშირის წარმოების წასაქეზებლად კავკასიაში მთავრობა სხვა-და-სხვა საშუალების ხმარებას აპირობს. ქვა-ნახშირი იპოვება ჩრდილოთ-კავკასიაში, მდინარე ყუბანის ორსავ ნაპირას და ამიერ-კავკასიაში—იმერეთში და დაღესტანში. ტყიბულის რკინა-გზის გაყვანას მალე შეუდგებიან (ტყიბული 40 ვერსზეა ქუთაისიდამ). აზრადა აქვთ აგრეთვე, რომ, როგორც ტყიბულისა, ისე ბაქო-ბათუმის გზაზედ დაბალი ქირა დაადონ ქვა ნახშირს, რომ ამით უმეტესად გაავრცელონ იგი.

~~~ ერთ-ერთს ჩვენის გაზეთის ნომერში იყო ნათქვამი, რომ მამათის საზოგადოებას გურიაში უეცრად გადეწყვა სოფლის სასამართლო თავის მოწყობილებით. ეს სასამართლო იყო გამართული თურმე სოფ. მამათისა და ბაილეთის სამზღვარზე და ეს ორი სოფელი ერთადა სწევდა და სწევს სასოფლო ულელს სოფლის კანცელარიისა და სკოლის შენახვისათვის. ახლა მამათის თავადიშვილის ჩაგონებით მამათლებს მოუნდომნიათ თავიანთ სოფელში გადატანა კანცელარიისა და ამ ამბავს დიდი აყალმაყალი აუტეხნია ამ ორს სოფელს შუა. სამწუხაროა, როცა სასოფლო საქმეებში გარეშე პირები ჩაერევიან ხოლმე და, საერთოდ შრომის მაგივრად, შურსა და მტრობას უმატებენ სოფლელებში.

~~~ პეტერბურგიდამ ატყობინებენ ტელეგრამით «ახალ მიმოხილვას», რომ გამოჩენილ მდიდრებს სამს ძმა-როჩილდს განუზრახავთ ნავთის წარმოების გაძლიერება და ხელში მოგდება და ამ აზრით გამოუგზავნიათ თავიანთ ვექილი ბაქოს ნავთის მწარმოებლებთან შესათანხმებლად.

~~~ როგორც თბილისის გამგეობის ცნობებიდამა სჩანს, წარსულს თებერვლის განმავლობაში თბილისის მოედნებზე შემოსულა 1401 ტომარა ფქვილი და 2,571 ტომარა ქერი. ფქვილი იყიდებოდა ფუთი 90 კაპეიკიდამ 1 მან. და 15 კაპეიკამდის; ქერი 54—75 კაპეიკამდის. სხვილი საკლავი შემოსულა 1,250 სული, ცხვარი 3550 სული, ძროხა იყიდებოდა 25—55 მანეთად, ცხვარი 3—$6\frac{1}{2}$ მან.

გარდა ამ რიცხვისა, თბილისის სხვა-და-სხვა ქარვასლებში და საწყობებში

მოსპობს! მოსპო და მორჩა! არც ზნეობა ყოფილა აქ საჭირო, არც [illegible] ბრმა თვალებით და გამოდით მაგ ოცნების ციხე-დარბაზებიდამ!

X

...ვინც რამ უნდა სთქვას და მე კი ზეკუციას ამოვეკედლე: ის არის ჩემი ფარიც და ხმალიც. ძლიერ უხიფათო, უდავიდარაბო მიმართულებაა ჩვენში ეს «ზეკუცისტობა». არც არავინ რასმეს დაგწამებს, არც არავინ ქუჩაში თავს აგარიდებს, ხალხშიაც მიგიპატიჟებენ და სადილსაც გაჭმევენ! აი რა პატივშია დღეს «ზეკუცისტი»! ზეკუცისტი? რა ლამაზი სიტყვაა, ახალი! იქნება ფილოლოგიამ არ შეითვისოს ეს სიტყვა?! რაღა მეშველება? წავალ და ტერაკოფოვს დავამტკიცებინებ,—ის ხომ ყველას ხელს უმართავს ამ ზეკუციობაში. რაღა ეთქმის მაშინ ფილოლოგიას, დარჩება პირში ჩალა-გამოვლებული. მაგრამ... მაგრამ ისა, მკითხველო, რომ შარიანი დროა, შარიანი... იქნება ვერც კი გაიგონ, რა არის ზეკუცისტი? როგორ თუ «ისტიო»??!! А кутузку ზნაეშო? მაშინ ნახე ხიფათები და დავი-დარაბა... არა, ბატონებო, არა! მე არაფერი არა ვარ! არც არა მითქვამს-რა! არც არა გამიფიქრია! არცა ვარსებობ! მკვდარი ვარ, მძინავს......

X

...დიახ! ძილის გარდა, ყველაფერი სახიფათოა. ტყუილად კი არ მეტყოდა ხოლმე ჩემი გამდელი, აკვანში რომ ჩამაწვენდა: მოდი, ძილო და მოსვენებაო! ოღონდაც, რომ მოსვენებით ვიყავ. დედის ძუძუც კი მავიწყდებოდა ხოლმე... მაშ გაუმარჯოს ძილის [illegible] დის ძუძუც და დედინაცვლისაც...

ამ მოაზრებით წავყავ, ხოხობივით, ბალიშში თავი და წავიხურე საბანი; ძლიერ მიამა: არც არავისი გეშინიან, არც არავის აშინებ. ამისთანა განცხრომას და ძილს ბევრი ფანტაზიები და სიზმრებიც მოსდევს... მეც სიზმარი ვნახე...

X

...ერთი პატარა ქალაქი მიჩანდა, მომეწონა ძლიერ, ახლოს დათვალიერება მოვიწადინე... ავუარ-ჩავუარე,—ვერა გზით ვერ მივუდექ; გარშემო წყალი ერტყა. თუმცა იმ წყალზედ ხიდებიც იყვნენ გადებულნი, ძველი და ახალი, ხისა და რკინისა, პარომიც იყო გაბმული და რამდენიმე ნავტიკიც წყალში ეგდო, მაგრამ მე მაინც ვერ მოვახერხე შიგ ქალაქში შესვლა,—არ ვიცი, როგორ მოხდა,—ჩამოვჯექ წყლის პირს და წულა-წულას თამაშობა დავიწყე. ბევრი ხანი არ გასულა ამ თამაშობაში, ვიღამაც კალთა დამწია; მივიხედე, წინ სალდათივით გამომეჭიმა ურწმუნო თომა. გამეხარდა ძლიერ. დრასტი, თომა-მეთქი. დრასტიო! მიპასუხა; შენ თუ ამ ქალაქის ნახვა გინდა, მე წამომყე, დაწვრილებით ყველას გაჩვენებ და აგიხსნი კიდეცაო. ამ სიტყვებით ჩამავლო თომამ ხელი და ერთ ალაგს მიმათრია. მდინარის ნაპირზედ, ოთხასამდე მუშა (სულ ჩვენს სოფლელებსა გვანდნენ) დამწკრივებულიყვნენ ნახევარ ვერსის სიგძეზედ, ხელში ეჭირათ: წერაქვები, რკინის კეტები, თოხები, ბარები და მიწასა სთხრიდნენ გამწარებულნი, გაშმაგებულნი ჩასცქეროდნენ თხრილს, ერთს [illegible] შინდა... მეგონა, თავიანთ საფლავს ითხრიან, რომ ცოცხლებივე შიგ ჩაეყარნონ-მეთქი. რა ამბავია?—დავეკითხე თომას. «წყლის ნაპირს ამაგრებენ, რომ ქალაქი არ დაიზიანოსო». მე საფლავი მეგონა-მეთქი. «მართლა რომ საფლავია, მხოლოდ მუქთი»,—მომიგო თომამ,—«არ გაგიგონია «მუქთი საფლავი», სწორედ ეს არის. ეგენი სთხრიან,—ესენი ჩაწვებიან». აქ თომამ მიმითითა რამდონიმე მოქალაქეზედ, რომელნიც გამოსულიყვნენ ამ მუქთი საფლავის დასახედავად და გასაზომად. მე და თომა გამოვტრიალდით და კარგა შორს მანძილიდან გვესმოდა მუშების სიმღერა:

ლიახვი ადიდებულა,
მტკვარი დასძახის ნანასა!
დროზე გავთხაროთ საფლავი,
იორემ მოვუვებით ნანვასა!
**
თავს დაგვცქერიან გარაჟელ,
და მინასა,—
ხვნა, თესვა, ოფლი ჩვენია—
ესენი მკიან ყანასა!..

შესწყვიტეს ამათ სიმღერა და მეორე მხრიდან გაისმა სხვა, თითქო გამოწვეული მუშების სიმღერით, უფრო სასოწარკვეთილების ხმა...

წამო, [illegible] გაჩვენებო, მითხრა თომამ. მიმიყვანა ერთ განმარტოებით აშენებულ ორ-სართულიან სახლთან, [illegible] კარგა მაღალი ქვითკირის გალავნით. სახლის ზემო სართული სჩანდა, მაგრამ ქვემო სართულს კი გალავანი ჰფარავდა. «ქვემო სართული უფრო საინტერესოაო», მითხრა თომამ და ამ სიტყვებით შეჭკრა თავისი რკინის ბო[illegible]ვანს და იმოდენად შეამტვრია, რომ კაცი ცალი თვალით კარგა დაინახავდა იქაურობას. შევიხედე. ქვემო სართულის ფანჯრები სწორედ მიწის პირს იყვნენ ამოყვანილნი. ასიოდე ფანჯარა იყო და ყველა ფანჯრიდან თითო ვინმე იცქირებოდა. ზოგს ენა გამოეყო და თოვლსა ლოკავდა. ზოგიერთების სახე მეცნო და დავაკვირდი: თითქო რაღაც ასოები ჰქონდათ შუბლზედ დადაღული. თომამ მითხრა, რომ მაგათ ყველას თავის ვინაობა შუბლზედ დაუდაღესო, ზედ აწერიათ, რაც ავაზაკები არიან ეგენიო. მართლაც, კარგა რომ დავაკვირდი, თითო შუბლზედ თითო რასმე ვკითხულობდი: «ინდოური», «ქათამი», ხატი, ღორი, ღორი, ყურძენი..... ურწმუნო თომა კი თავს მადგა, ხელში ჯოხი ეჭირა და როგორც კარგი პონორამსჩიკი, მიხსნიდა ყველაფერს, რასაც იქა ვხედავდი. სულ გაზეპირებული ჰქონდა ამ ავაზაკების თავგადასავალი. ის ლაპარაკობდა... ლაპარაკობდა... ლაპარაკობდა..... სულ ტანში ქრიანტელი მომგვარა იმის ლაპარაკმა. ამ დროს თავზედ წამოგვადგა ერთი სპილოს-ოდენა კაცი და ორთავენი გადაგვყლაპა.....

შესაზარი ხმა მომესმა: ვინ ნას მიზამს, სუნ ბუნუთიეით დაგფშენგტამათ! ჟუკნა ჩინოვნიკი ან გეგონოთ, მე ვან, ნაცა ვან! თითონ კოროლევა ვიკტორია ჩემი მწყალობელია, ჩემი ნათესავია! ჩემი ღვიძლი ბიძაშვილია! წადით, მიჩივენით! ნას გაიტანთ?! ნას დამაკნებთ! მივიხედე,
~~~

უფრო მეტი შემოდის ფქვილი და ქერი, ვიდრე მოედნებზე, აგრეთვე საგლეხი საქონელიც.

წერილი რედакциисадми *).

ბ. რედაქტორო! მე წავიკითხე თქვენს პატივ-ცემულს გაზეთ «დროებაში» პატარა შენიშვნა, რომ სოფელ შაქრიანში ეკვანა-ხველა არის გავრცელებული. ამის წინააღმდეგ წავიკითხე გაზეთ «კავკაზში» თ. ნ. ჩოლაყაშვილის წერილი, რომელითაც სრულებით უარს ამბობს, კითომც შაქრიანში ეკვანა-ხველა არა ყოფილიყოს.

უნდა გამოგიტყდეთ რომ თ. ნ. ჩოლაყაშვილის ამ გვარმა წერილმა ძალიან გამაკვირა, და უნებურად ეს აზრი მოვიგიდა თავში: ან ეთუოდ სოფელი შაქრიანისა არა იცის-რა უფროსმა თ. ნ. ჩოლაყაშვილმა, ან არ უნდა, რომ გაიგოს. იმის დასამტკიცებლად, რომ შაქრიანში მთლად მოდებული იყო ეკვანა-ხველა და მრავალიც იმსხვერპლა, მე მოვასსენებ ერთ ფაქტს ბ. ჩოლაყაშვილს. ს. ნაფარეულის მცხოვრებნი გვედაკებოდენ ჩვენს ადგილს «დიდეურეს». 10 თებერვალს მოვიდა ამ საქმის გამოსაძიებლად ს. შაქრიანში თელავის და თიანეთის მაზრის სასულიერო მამულების გამგებელი, ნეკსკი, და იმ დამეს უნდა შაქრიანში დარჩენილიყო. წარმოიდგინეთ, რომ ეკელა სახლები დაიარა მამასახლისმა და ერთი იმისთანა ბინა ვერ იშოვნა, სადაც ავად-მყოფები არა წოლილიყვნენ. განა თითო?-ორორი-სამ-სამი. ბოლოს მისცეს ბინა, მაგრამ, როდესაც ბ. ნეკსკი ჩაისვა სვამდა, მაშინ იმ სახლიდანაც ორი სრულებით ხველებისაგან გალურჯებული და გონ-მიხდილი უმაწვილი გაიტანეს ხელით. თუ ბ. ჩოლაყაშვილს სამძიმოდ მაჩნია სოფ. შაქრიანის ავ-კარგიანობა, გაიგოს,—ბ. ნეკსკი ხომ მუდამ თელავშია—ჰკითხოს და დარწმუნებული კარ, ეოკელ-ფერს უსნობს.

შაქრიანის მცხოვრები.

სხვა-და-სხვა ამბები.

—

ჩვენთვის სანატრელი მოსამართლე. ამერიკაში, კანზასის შტატის ქალაქ მოში, მსახურებს ფრიად ცნობილი მომრიგებელი მოსამართლე, მისტერ უაიტი. ერთხელ როგორღაც მოუხდა, რომ სასამართლოში მისული ნახევარ საათით დაგვიანდა. ეს უნებური დაგვიანება ისე ეწყინა მისტერ უაიტს, რომ სკამზე დაჯდომისთანავე ჯერ თავისი საქციელი გაარჩია და დაიწერა ერთი თუმანი ჯარიმა, რომ კელავ აღარ დაიგვიანოს. რამდენი თუმანი შესდებოდა, ნეტა ვიცოდეთ, ჩვენს მოსამართლეებსაც რომ აგეთი სისტემა შემოეღოთ თავიანთ მოვალეობის აღსრულებაში?

—

იერუსალიმის აღდგინება. ამბობენ, კითომც თორმეტს ამერიკელს, სულ მილიონერებს, შეუდგენიათ ამსანაგობა იმ აზრით, რომ აღადგინონ იერუსალიმის ქალაქი და მისი ეკლესია უწინდელის დიდებითა და სისუტაკით. იმათ თურმე ამოურჩევიათ თავიანთში ორი მტოდნე ინჟენერი და უკვე გაუგზავნიათ პალესტინაში, რათა ადგილობრივ გამოიკვლიონ და იანგარიშონ, თუ რამდენი დაჯდება ეს უშველებელი და ძვირი საქმე.

—

მაღალი ქუსლების განდევნა. პარიკის მაღალი წოდების ქალებს გადუწყვეტიათ, რომ აღარ ატარონ მაღალ ქუსლიანი პოლსპოკები და ამას იქით იხმარონ ინგლისური ფასონის ფეხსაცმელი, ბტუელი და დაბალ-ქუსლიანი. ამ ასალ მოდას, უეჭველია, გაუდიმებს ბედი, რადგან სიარულში, მაღალი ქუსლის გამო, სხეული უნებლიედ გადარსულია წინ, დაბალი ქუსლის ტარებაში კი სხეული სწორედ დგას და მიხრამოხრა და ეოკელივე მოძრაობაც თავისუფალია. მაღალ ქუსლების გაძვებას

*) იქნება ამ წერილმა მაინც ზოგიერთ პირთ სურვილი მოუსპოს «პროვინციების» წერისა.

რედ.

საიდანაც ხმა ისმოდა; საოცარი სურათი დავინახე: კაცი კაცზედ იჯდა, როგორც კი ყარაბალელი ცხენზედ! მთელი სოფელი გარს ეხვია, დიდი, პატარა, კაცი, ქალი. პირჯვარს იწერდენ და გასძახოდენ: «შენ დაგვიფარე, ღმერთო! შენ დაგვიფარე»!.. მიუახლოვდი, კაცი იყო შეკმაზული ნამდვილი ჩერქეზული უნაგირით, პირში ამოედოთ იმნაირივე აღვირი, თავზედ ჩამოეცვათ თოფრა საესე სხვადა-სხვა სურნელოვანი ნივთიერებით. საწყალი ოთხზედ იდგა, როგორც ნამდვილი ცხენი. მხედარს პირში ცოფი მოერეოდა და თუმცა დაბნედილიყო, მაინც კიდევ მაგრა იჯდა კაცზედ. მარცხენა ხელში აღვირი ეჭირა და მარჯვენაში თუნგით ცივი წყალი. შორო გასაოცარად ეცვა ამ გასაოცარ მხედარს: ტანზედ გიქების საავადმყოფოს ხალათი, წელზედ ერტყა, რამოდენიმე ნაკეცად, დაძველებული ტყავის ღვედი და ღვედში ჰქონდა ჩადებული ნახევარ თაბახი თეთრი ქაღალდი; ფეხებზე დეზებათ მანეული შემოეცალა, თავზედ ეხურა ქაღალდის ქუდი ბროცკის შაქრის ფორმისა, და ზურგზედ ეკიდა გუდა, სავსე ოსური ხაბიზგინებითა. წვერ-ულვაში ჭაღარა-მოთრეული ჰქონდა და იქნებოდა ორმოც-და-ათ წლამდე. «ღმერთო, შენ შეიწყალე»,—ისმოდა გარშემო დედა-კაცების ხმა,—ვაი შენი კარგი ცოლშვილის ბრალიცა, რომ მაგ დღეს მოესწრენ! ბოლო მაინც მოულოს იმ დალოცვილმა ღმერთმა! ჰა! როდემდის უნდა იტანჯოს ასე? რა არ უყვეს: მკითხავს არ აკითხვინეს! ფთილები არ ჩამოუსხეს! სხვადა-სხვა ალაგს არ ალოცეს! შიშველი და ტიტველი არ ატარეს! ქალაქში არ ჩაიყვანეს! არა ეშველარა და არა! დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! ი ქალაქის ექიმებმა უფრო გააგიჟეს, თქვენ გენაცვალეთ! დაუმატა მეორემ,—უწინ კაცებზედ მაინც არა ჯდებოდა ხოლმე! ამ დროს გიჟი თითქო გამოფხიზლდა, ღვედიდან ქაღალდი ამოიღო, წაიკითხა ხმა მაღლა რაღაც ლექსი, ვიღაც ყმაწვილებზედ და წაიბუტბუტა: ამასაც ჯიგტორიას მივართმევ, დამიბეჭვდინოსო. მერმე ცოფები მოერია და უწინდებურად დაიწყო: ვინ ნას მიზამს? მიჩიენეთ! ნას დამაკნებთ? თითონ კარალევა მიკტორია ჩემი ღვიძლი ბიძაშვინია! ამ სიტყვებით დამაძგერდა მე....

X

.... თვალები რომ ავახილე, თომა გვერდზიდ მიდგა და თავზედ ყინულებს მადებდა. «რა სუსტი ძარღვების პატრონი ყოფილხარ, მითხრა იმან, ჩემმა ლაპარაკმა გული შეგიწუხაო. ორი საათია, თავს გადგევარ და ძლივ გონს მოგიყვანეო... მივიხედ-მოვეხედე,—ისევ იმ ბალავანთან ვიყავით. თომამ პირზედ წყალი შემასხა და მითხრა: წამო, ახლა გაგართო, შენ ესიამოვნო სანახავს ვეღარას აიტანო». ბამოვედით ერთ დიდ ქუჩაზედ: ხალხი ბლომად ტრიალებდა და რაღაც ფაცა-ფუცში იყო. ეცენ ზარბაზნებმა დაიგრიალეს! რასა ღელესასწაულობენ? ჰკითხა თომამ ერთს ჰოლისმენს. სიფთას ულბითის ციხე აუღიაო, მიიღო თომამ პასუხად. ხალხი პატარა ჯგუფ-ჯგუფად იდგა და მართლაც ყველგან ულბითის აღებაზედ ლაპარაკობდენ, ყველას უკვირდა სიფთას ვაქკაცობა. მე და თომა ერთ დუქნის წინ ქვაზედ ჩამოესხედით და იქიდან ვათვალიერებდით ხალხს. ოთხიოდე მოხელე დადიოდენ აქეთ-იქით და ყველას რაღაც ხელში აჩეჩებდენ. ერთი მათგანი პორთფელით იღლიაში ჩვენთანაც მოვიდა და ჩაგვაცივდა, ამაღამ კლუბში წარმოდგენა არის და უთუოდ ბილეთები უნდა იყიდოთო. თომამ მაშინვე ჯიბეს ხელი გაიკრა ფულისთვის, მაგრამ გროში ამ ამოუჩნდა. მეც იმაზედ ქესატათ ვიყავი; მოხელე აღარ გვეშვებოდა, ბილეთი უნდა იყიდოთო. ფული ჩკაო, უთხრა თომამ, რითი ვიყიდოთო... ქალოშები ხომ გაცვია, იმასაც კარგა ავიღებ ბილეთშიო,—ჩააცივდა თომას მოხელე. მეტი ღონე აღარ იყო, დაიხადა თომამ კალოშები და მიუგდო. მოხელემ ამოიღო პორთფელიდამ ორი ათ-მაურიანი ბილეთი დი მოგვცა. საღამოზედ ჩავიარეთ კლუბისკენ. კარებზე ერთი უშელებელი აფიშა იყო გაკრული, რომელზედაც თომამ ხმა მაღლა წაიკითხა რუსულად:

Странствующая труппа, подъ управленіемъ турецко-поданныхъ братьевъ Сипта и Гудина-оглы. Первый разъ представлено будетъ:

ЦУКЕЗГЕЯ

Соч. лорда Адмиранда.

Историческая драмма изъ временъ нашествія Ага-Магометъ-хана на Грузію

Картина 1-ая истязаніе дѣвушки.

— 2-ая ѣзда на людей.

— 3-ая ни кола—ни двора.

Разрѣшаю за Тераковъ-оглы.

ᲗᲐᲜ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲑᲐ ᲣᲗᲣᲝᲓ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ. ᲛᲝᲛᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲗᲠᲘᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲙᲘᲑᲔᲖᲔ. — ᲤᲘᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲘᲧᲐᲕ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲖᲐᲚᲐ ᲩᲐᲛᲝᲬᲕᲔᲡᲝ, ᲨᲣᲐ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲪᲚᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲭᲔᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲖᲐᲛᲐᲡᲙᲐᲡ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡᲝ. ᲨᲔᲕᲔᲓᲘᲗ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ, ᲐᲕᲐᲗᲕᲐᲚ-ᲩᲐᲕᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲗ ᲮᲐᲚᲮᲘ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲯᲐᲚᲐᲑᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲥᲝᲠ-ᲛᲔᲫᲔᲑᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲔᲠᲛᲔ—ᲨᲣᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ—ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲑᲣᲠᲭᲣᲐᲖᲘᲐ; ᲡᲣᲚ ᲑᲝᲚᲝᲡ—ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲐᲗᲘᲝᲓᲔ ᲨᲐᲕ ᲡᲔᲠᲗᲣᲙᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚ-ᲒᲐᲖᲓᲐ. ᲐᲛᲐᲗ ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲙᲔᲓᲔᲚᲗᲐᲜ ᲐᲢᲣᲖᲣᲚᲘᲧᲕᲔᲜᲔᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲥᲝ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲔᲜ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲮᲚᲝ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲧᲝᲗ, ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲒᲕᲔᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲣᲚ-ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲘᲤᲣᲭᲝᲗ ᲗᲐᲕᲘᲗᲘᲗ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲡᲝ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲐᲯᲐᲙᲘᲪ ᲘᲥ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲮᲛᲐ ᲛᲐᲚᲚᲐ ᲘᲐᲮᲓᲐ! ᲙᲛᲐᲠᲐ, ᲙᲛᲐᲠᲐᲝ... ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲙᲘ, ᲠᲐᲖᲔᲖᲔ ᲘᲐᲮᲓᲐ... ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲣᲡᲛᲐ ᲨᲐᲚᲘᲙᲝᲛᲛ ᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡ: ᲓᲐᲣᲙᲐᲠᲘᲗᲝᲗ! ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲛᲐᲪ ᲓᲐᲘᲒᲠᲘᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲚᲐ ᲩᲐᲛᲝᲬᲕᲐ. . . . . ᲢᲐᲮᲢᲘᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘᲧᲐᲕ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲚᲕᲘᲫᲐ...

Ბ. ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲫᲔ.

Ს. ᲡᲘᲤᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(«ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘᲡ».)

14 მარტს.

ᲙᲝᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დღეს, მელნიცკების საქმის შესახებ, მმართველი სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტმა დაადგინა: ნაფიცთა მსაჯულთა განაჩენი გაუქმდეს და საქმე გადაეცეს სამჯავროს სხვა განყოფილებას ხელ-ახლად განსახილველად; ლევი მელნიცკის ვექილის საჩივარი შესახებ მელნიცკის სამართალში მიცემისა უყურადღებოდ დარჩეს; უყურადღებოდ დარჩეს აგრეთვე საჩივარი ბარბარე მელნიცკის და ელენე ელეზეს შესახებ. მოსკოვის სამჯავროს ეკანონო მოქმედებისთვის შენიშვნა მიეცეს. ამავე დეპარტამენტმა დაადგინა: კიევის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება ბრალდებული მიხეილ სვირიდოვის შესახებ გაუქმდეს და სხვა განყოფილებას გადაეცეს ხელ-ახლად განსახილველად; ბრალთან გაჭეშვა უთუოდ ბრალდებულ ჯვარდმოფობა, რომელიც [illegible] ბრალდებულ [illegible] მოდამ გაკურცელა ნაზი აგებულების ქალებში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის პროტესტი და ნაფიცი ვექილის ტალბერგის საჩივარი პატალეევის და ქ. ბრალევოის შესახებ უყურადღებოდ დარჩეს.

კეშტი. სალგოტორიის ნახშირის მადნების 800 მუშამ პირი შეჭკრეს, აღარ მუშაობენ და უწესობა მოახდინეს. ჯარებმა და ქანდარმებმა აღადგინეს წესი და მუშაობაც ისევ დაიწყო.

კაირი. მართლდება, რომ ხართუმი თითქმის ყველა მხრით აჯანყებულებით არის გარემოცული; აჯანყებულთ უპყრიათ ნილოსის ორივე ნაპირი შენდის სამხრეთის მხრივ.

15 მარტს.

პეტერბურგი. იონინს, რომელნიც განსაკუთრებითი მინდობილებით იყო სოფიაში გაგზავნილი, ებოძა მეორე ხარისხის წმ. ვლადიმირის ორდენი.

ვაშინგტონი. გარდაცვალებული გენტის მაგივრად, შეერთებული შტატების ელჩად პეტერბურგში დაინიშნა სარჯენტი, რომელიც ეხლა ბერლინშია ელჩად.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში წარუდგენიათ წინადადება იმის შესახებ, რომ მაზრობით ამორჩევები შესცვალონ და იმის მაგივრად დეპარტამენტობითი შემოიღონ.

გიუედგან იწერება ტელეგრამით საფრანგეთის წარმომადგენელი, რომ ანამის პრინცი, რომელმაც ამას წინად ანამში ქრისტიანები დაახოცვინა ხალხს, სიკვდილით დასაჯოს.

ქრისტიანია. სახელმწიფო სამჯავრომ სამსახურიდგან დათხოვნა გადაუწყვიტა კონტროლის დეპარტამენტის უფროსს ბახკეს.

განცხადებანი

«ქართველთა-შოკრის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ სვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ—ექვსი მანათი ან საზოგადოების საზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახელობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე საწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классическою Гимназіею, подъ редакціею газ. «Дроэба»). (10—2)

ალრეშუმის ჭიის თესლი, (№ 90),

კარგი ყვითელი პარკის ჯიშისა, პასტიორის სისტემაზედ მომზადებული და საფრანგეთის პირველი ფირმებისაგან მიღებული. მისხალი იყიდება ერთ მანათად, იქვე ნუხის თესლი, მისხალი ათ შაურად.

ადრესი: ბ. ლურისიეს, ფრეიდინის ქუჩა № 8, არტაზოვის სახლი, ანუ ლუის მაღაზია. (5—2)

სომხური სასულიერო სემინარიის ნერსესიანთა მზრუნველობის რჩევაში 28 ამა მარტისას, საღამოს რვა საათზე, მოხდება ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გაცემაზე შემდეგთთა სემინარიის კუთვნილ მამულთა: ა) სახლისა და დუქნებისა, რომელნიც ავეთიკა ფიროევისაგან არიან შემოწირულნი და იმყოფებიან რუსების ბაზარში №№ 6 და 11, და ბ) დუქანი, რომელიც აშენებულია სასწავლებლის მოედანზე, ვანქის სომხის სობოროსთან. პირობების სინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა და საუბელო დღეებისა, 10 საათიდგან 12 საათამდინ. (3—3)

ბ. ხმელევსკი, რომელსაც ვარშავის კონსერვატორიის სრული კურსი აქვს შესრულებული და არის მოწაფე მაშოშაკსი, აძლევს მუსიკის გაკვეთილებს ფორტოპიანოზე, ფიქსგარმონიაზე, და აგრეთვე ასწავლის მუსიკის და გარმონიის თეორიას (გენერალბასი), სცხოვრობს ფრანგების ეკლესიის სახლში, კუკიაში. (6—6)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |